



USAID
აშშ-ის საგარეო უწყვეტი დახმავების სააგენტო

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



Chemonics
Development works here.

PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ
25-27 იანვარი, 2019

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქეთი რეხვიაშვილს, USAID Zrda Activity
+995 32 222 74 95/ krekhviashvili@zrda.ge

USAID/Zrda-ს და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, საქართველო „ნიუ-იორკ თაიმს თრეველ შოუ“-ზე წარდგა

ნიუ იორკი, Jacob K. Javits Convention Centre – 2019 წლის 25-27 იანვარს, 13 ქართველი ტურ-ოპერატორი წარდგა ყოველწლიურ პრესტიჟულ ტურისტულ გამოფენაზე - „ნიუ-იორკ თაიმს თრეველ შოუ“, რომელშიც მსოფლიოს 170 ქვეყნიდან, 550-ზე მეტი კომპანია მონაწილეობდა. USAID/Zrda-ს და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, წამყვანმა ტურ-ოპერატორმა, მათ შორის: Georgian Holidays, Caucasus Travel, Explore Georgia, Exotour, Travelshop, InterCo Travel Group-მა დამთვალეირებლის წინაშე ქართული ტურისტული პროდუქტები წარადგინა და პარტნიორობა დაამყარა ადგილობრივ თუ სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ, შოუში მონაწილე კომპანიებთან და სააგენტოებთან. შედეგად 19 ამერიკული ტურისტული სააგენტო დაინტერესდა საკუთარ ტურისტულ შეთავაზებებში საქართველო შეიტანოს.

Zrda, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და წამყვან ტურ-ოპერატორთან თანამშრომლობით, ხელს უწყობს ახალი ტურისტული პროდუქტების მთელი ციკლის შექმნა-შემუშავებას და მათ პოპულარიზაციას, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში, „ნიუ-იორკ თაიმს თრეველ შოუ“ შეირჩა როგორც ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, სადაც ერთობლივი ძალისხმევით შედეგად შექმნილი ტურისტული პროდუქტების წარდგენა/პოპულარიზაცია მოხდა. Zrda-მ ქართველ ტურ-ოპერატორებს ამერიკულ ბაზარზე გასვლის საშუალება მისცა, რათა მათ წარმოეჩინათ საქართველო, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო და სასურველი ტურისტული მიმართულება. პროექტმა ტექნიკური დახმარება გაუწია და ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა-განვითარების კუთხით ტრენინგები ჩაუტარა ტურიზმის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს, ასევე დაფარა გამოფენაზე წარსადგენი ბეჭდური მასალების ხარჯები.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მკირე და საშუალო სანარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მენარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; www.zrda.ge